ცნობის ფურცელი

№ 2422 პარასკევი, 27 თებერვალი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2422

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ —50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი კანცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში კანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

საკაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა **მისის უდიდებულესობის** სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.
პარასკევს, 27 თებერვალს წარმოდგენილი იქნება

რომეო და ჯულიეტა

ოპერა 5 მოქმ. მუს. ჰუნოსი

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ბობროვა-პფეიფერი, ტურჩანინოვა, ლელიანა; ბ-ნნი: ფიგნერი, სელიავინი, გლადკოვი, შმაკოვი, ფედოროვი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ფასები აწეულია. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო. (1—16)

ნაფიცი ვექილის თანაშემწე

ნიკო ელიავა

გადავიდა: ველიკოკნიაჟესკისა და კიროჩნი ქუჩების კუთხეში სახლი სვანიშვილისა № 39. (3—1)

აბრეშუმის თესლი

საუკეთესო ხარისხის შემოწმებული **თეთრი ბაღდადური** და **ყვითელი ფრანგული** ისყიდება ზომიერ ფასებში **ქუთაისში**.

(10—70—5) სავაჭრო სახლი „ი. გოკიელოვის შვილები“.

იმპერიის თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებები შეერთდნენ **ბრძოლის ველზე დაჭრილთათვის და მოკლულ და დაჭრილ მეომართა ოჯახებისათვის შემწეობის აღმოსაჩენად**; ამისათვის გადასწყვიტეს ყველა წოდებათა შორის **ფულითა და სხვა და სხვა ნივთით შემოწირულებათა შეგროვება**. საქმის ორგანიზაცია დაევალა მთავარ კომიტეტს, მოსკოვში, მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლის თავ. პ. ნ. ტრუბეცკოის თავმჯდომარეობით და ყველა გუბერნიების თავად-აზნაურთაგან არჩეულ რწმუნებულების მონაწილეობით.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ უკვე გადასდო ამ საქმისათვის განსაზღვრული ფული და ეხლა იმის ზრუნვაშია, დაამზადოს სამხედრო სავადმყოფოებისა და [illegible] საჭირო საგნები. დასამზადებელ საგნებისათვის საჭირო მასალის შესაძენად შემოწირულებათა შეგროვება დაევალა კომიტეტს, რომლის თავმჯდომარეა გენერალ-მაიორი თავ. ივანე სულხანისძე ჭავჭავაძე, ხოლო წევრები—თავ. ლ. გ. ჯანდიერი, გენ.-მაიორი ქ. ი. მამაცაშვილი, გ. ს. განძიელი და დ. ზ. სარაჯიშვილი.

მანდილოსანთ, რომელთაც ჰსურთ საკუთარის შრომით მიიღონ მონაწილეობა ხსენებულ ნივთების დამზადებაში, ვთხოვთ მიჰმართონ ქალთა კომიტეტის სახელოსნოს (გრიბოედოვის ქუჩა კნ. ქობულაშვილის სახლი) დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4-მდე.

შემოწირულებას იღებენ მხოლოდ თავმჯდომარე და წევრები კომიტეტისა.

კომიტეტის თავმჯდომარე **თავ. ი. ს. ჭავჭავაძე** იღებს შემოწირულებასა და ინახულებს ყველა იმათ, ვისაც ამ საქმის გამო მასთან რაიმე მოლაპარაკება უნდა, ყოველდღე საკუთარს ბინაზე დილის 10 საათიდან 12-მდე, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით დეპუტატთა საკრებულოში ნაშუადღევის 1-ლიდან 2 მდე.

თავ. ლ. გ. ჯანდიერი იღებს ყოველდღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე საკუთარ ბინაზე, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით დეპუტატთა საკრებულოში ნაშუადღევის 1-ლიდან 2-მდე.

გენერალ-მაიორი **ქ. ი. მამაცაშვილი** იღებს ყოველდღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით დეპუტატთა საკრებულოში ნაშუადღევის 1-ლიდან 2-მდე.

გ. ს. განძიელი იღებს ყოველ დღე 10 საათიდან 3-მდე სასოფლო-სამეურნეო ბანკში, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით დეპუტატთა საკრებულოში ნაშუადღევის 1-ლიდან 2 მდე.

დ. ზ. სარაჯიშვილი იღებს ყოველდღე დილის 10 საათიდან 3-მდე თავის კანტორაში (ოლგას ქუჩა), ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით დეპუტატთა საკრებულოში ნაშუადღევის 1-ლიდან 2-მდე. (ნ. 30—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

რ. მ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. —3 საათამდე.

მ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ქ. ქალი მ. ა. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

მ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ა:

მ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპეიდა. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274

ქ უ თ ა ი ს შ ი

კბილის ექიმი

მ. ი. ბებიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე; სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

ე ქ ი მ ი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—28)

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი ს. ი. ბებიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ე ქ ი მ ი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა სახლი № 46.

ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა.

(0—5. —59)

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვაჩნაძისა.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 თებერვალი

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). რუსეთის ელჩმა პეკინში ჩინეთის მთავრობას შეატყობინა, თუ არ შესწყდება ძარცვა-გლეჯა ცხენოსან რაზმების მიერ, რომელნიც ტელეგრაფს სწყვეტენ და მანჯურიის რკინის გზას აფუჭებენ, ჩინეთის მიერ გამოცხადებულს ნეიტრალიტეტს ძალა აღარ ექნებაო.

ტოკიო („ვოლფ. საგ.“). იაპონიის მთავრობამ გამოაქვეყნა პასუხი გრაფ ლამზდორფისა 9 თებერვლის ცირკულიარულ ნოტაზე. იაპონიის მთავრობა აცხადებს: ეხლა ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია ახსნა-განმარტება დავიწყოთ შესახებ იმისა, თუ რასა ჰკიქრობს და რას აცხადებს რუსეთის მთავრობა, მაგრამ ჩვენს უფლებად და მოვალეობად მიგვაჩნია ნათლად განვმარტოთ ფაქტები, რომელიც რუსეთის ნოტაში მართლად არ არის ახსნილიო. შემდეგ იაპონიის მთავრობა დაწვრილებით უარ-ჰყოფს გრაფ ლამზდორფის ნოტის ხუთსავე მუხლს. პირველს პუნქტში ნათქვამია, თუმცა კორეიაში ჯარი ომის გამოცხადებამდე გადმოვსხით, მაგრამ კორეის მთავრობამ ამაზე თანხმობა განაცხადაო; მეორე პუნქტი აცხადებს, ტელეგრაფით მიწერ-მოწერის შესახებ ტყუილიაო: 26 თებერვალს სამხედრო წესი იყო შემოღებული და იმ დროს ჩემულპო სანეიტრალო ნავთსადგური არ იყოო. მესამე პუნქტი სავაჭრო გემების დაჭერას შეეხება; იაპონიამ დაიარსა სამხედრო [illegible]ის სასამართლო და ამიტომ ყველა ბრალდება, რომელიც გემების დაჭერას შეეხება, საფუძველს მოკლებულიაო. მეოთხე პუნქტში უარჰყოფს ბრალდებას, რომელიც ფაქტებს არ ეთანხმება. მეხუთე პუნქტში ნათქვამია, იაპონიისადმი საყვედური ყოველსავე საფუძველს მოკლებულია და საქმის ნამდვილ ვითარებას ეწინააღმდეგება, რადგან რუსეთის ელჩი სეულიდან თავის ნებით წავიდაო.

ხარბინი (საკუთარ კორესპონდენტისაგან). ყინვა 12—15 გრადუსამდე აღის. ჩინელები, მათ დიპლომატიურ ბიუროს მიერ გამოქვეყნებულ განცხადებათა შემდეგ დამშვიდნენ და ხალისით მუშაობენ. რუს მცხოვრებთა შორის ძლიერი პატრიოტული აღფრთოვანებაა. შემოწირულებანი უხვია. კრეისერის სასყიდლად ერთმა რედაქციამ 2000 მანეთზე მეტი შეაგროვა. კომიტეტი ჯარის კაცთა ოჯახებს ფულს, ტანისამოსსა და საჭმელს აძლევს. წითელი ჯვრის საზოგადოება ძლიერ მუშაობს. ხარბინში ვაჭარმა პოპოვმა თავის ხარჯით გახსნა სავადმყოფო. დღეს მოვიდნენ იაპონელები, რომელნიც იალუსთან დაატყვევეს.

26 თებერვალი

პეტერბურგი. რუსეთის ვიცე-კონსულის დეპეშა, კოლომბოდან გამოგზავნილი 23 თებერვალს: „ინგლისის გემ „ამფიტრიდა“-თი მოსულ კრეისერის „ვარიაგ“-ის რუს აფიცრებსა და 362 მეზღვაურს ინგლისელები კარგად ექცევიან, ზრუნავენ მათთვის და ყურადღებით ეპყრობიან. „ამფიტრიდას“ უფროსმა მე-2 ხარისხის კაპიტანს სტეპანოვს ცეილონის გუბერნატორთან სარეკომენდაციო წერილი გაატანა. მიღებულ განკარგულებისამებრ ჩვენი მეზღვაურები გადავიდნენ აღმოსავლეთ აზიის საზოგადოების გემ „მალაია“-ზე; გემიდან „ურა“-ს ძახილით მიგვაცილებ. „მალაია“ 24 თებერვალს ადესაში მიდის“.

ლონდონი. გარეშე საქმეთა სამინისტრო ძლიერ შეწუხებულია იმის გამო, რომ მთელი ინგლისის ჟურნალ-გაზეთები ძლიერ მტრულად იხსენიებენ რუსეთს. სამინისტრომ გამოაქვეყნა საინტერესო გაფრთხილება, რომელსაც ოფიციოზურ მოწინავე წერილის ხასიათი აქვს. ეს წერილი ინგლისის გაზეთებს, გერმანიისა და საფრანგეთის პრესსაზე უთითებს, რომელიც მისაბაძი მაგალითიაო.

შანჰაი. როგორც ამბობენ, იაპონიის ჯარს ნაპირზე გადასხმენ პორტ-არტურსა და იალუს შუა, ხოლო მეორე ჯარი ნიუ-ჩუანს დაიჭერს, როგორც-კი ლიაოზე ყინული დადნება.

სეული („რეიტ. სააგენტო“). კორეიაში თვალსაჩინო შეტაკება მხოლოდ 3—4 კვირის შემდეგ არის მოსალოდნელი.

ტოკიო („რეიტ. სააგენტო“). იაპონიის სამხედრო გემებმა წუხელის ზარბაზნები დაუშინეს ტალიენვანის სიმაგრეებს, შემდეგ-კი პორტ-არტურზე იერიში მიიტანეს.

კორეის ჯარებმა სუსტი წინააღმდეგობა გაუწიეს რუსის ჯარებს ან-ჩჟუანსა და სუნჩჟუანსთან.

აქ შესაძლებლად სთვლიან, რომ იაპონიის ესკადრა, რომელიც ვლადივოსტოკისაკენ წავიდა, პოსიეტის ყურეში რუსეთის სამხედრო გემებს შეხვდა.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

26 თებერვალი

ლონდონი. იაპონიის აქაურმა ელჩმა რუსეთის უკანასკნელ ნოტას პასუხი გასცა: იაპონიის მთავრობა უარჰყოფს, ვითომ კორეიაში ჯარის გადასხმა და ჩემულპოში მდგარ რუსეთის გემებზე თავს დაცემა საერთაშორისო უფლების დარღვევა იყოსო. იაპონიის მთავრობა თავის სიმართლეს იმით ამტკიცებს, რომ ჯერ ერთი—კორეია თანახმა იყო კორეიაში ჯარის გადასხმისა და მეორე—კორეის ხელშეუხებლობას და დამოუკიდებლობას არავითარი საფრთხე არ მოელისო.

პეტერბურგი. რუსეთის ვიცე-კონსული კოლომბოში 23 თებერვალს დეპეშით იტყობინება: „ინგლისის გემით „ამფიტრიდა“-თი მოსული კრეისერი „ვარიაგი“-დან რუსეთის აფიცრები და 362 მეზღვაური კარგად არიან და ინგლისის მოხელენი მათთვის ზრუნავენ და მშვენივრად ექცევიან. ჩვენი მეზღვაურები გადმოსხდნენ რუსეთის გემ „მალაია“-ზე და ამავ გემით 24 თებერვალს ადესაში მიდიან“.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 თებერვალი

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებით ახალ განკარგულებამდე აკრძალულია რუსეთის იმპერიიდან ცხენების გაყვანა.—საჯდომ ცხენების მთელის რუსეთის პირველი გამოფენა, რომელიც მაისში უნდა მომხდარიყო, გადადებულია.—აღსანიშნავად კრეისერ „ვარიაგ“-ისა და საკანონიერო გემ „კორეეც“-ის გმირობისა, რომელიც გამოიჩინეს 27 იანვარს ჩემულპოსთან ბრძოლის დროს გაცილებით მეტ და ძლიერ მტერთან, ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ინება და უბოძა: კრეისერ „ვარიაგ“-ის უფროსს, რუდნევს I-ლის გიორგის ნიშანი მე-3 ხარისხისა და ფლიგელ-ადიუტანტის წოდება; უფროს აფიცერს, სტეპანოვს მე-4 ხ., ლეიტენანტებს—ბერლინგს, ზარუბაევსა და ბერენსს, მიჩმანებს—შილინგს, ჩერნილოვსკი-სოკოლს, ლობოდას, გუბონინს, ეილერსა და ბალკს, ინჟინერ მექანიკოსებს—ლეიკოვს, სოლდატოვს, ზორინსა და სპირიდონოვს და ექიმებს—ხრაბროსტინსა და ბანშჩიკოვს—გიორგის ნიშანი მე-4 ხარისხისა; საშკიპერო განყოფილების გამგეს—ბარსუკოვსა და კომისარს დენისოვს—სტანისლავის ნიშანი მე-3 ხარისხისა და სამაშინო განყოფილების გამგეს—მარკელოვს ანნას

ნიშანი მე-3 ხარისხისა; საკანონერო გემის „კორეეც“-ის უფროსს, ბელიაევს მე-2 გიორგის ნიშანი მე-4 ხარისხისა, უფროს აფიცერს ზასუხინს ვლადიმერის ნიშანი მე-4 ხარისხისა, ლეიტენანტებს—სტეპანოვს მე-8 ს და ლევიტსკის სტანისლავის ნიშანი მე-2 ხარისხისა, მიჩმანებს—ბოისმანსა და ბუტლეროვს ანნას ნიშანი მე-4 ხარისხისა წარწერით: „მამაცობისათვის, ბირილეოვს სტანისლავის ნიშანი მე-3 ხარისხისა, ინჟინერ-მექანიკოსს ფრანკს—სტანისლავის ნიშანი მე-3 ხარისხისა, უმცროს ექიმს მერკუშევს სტანისლავის ნიშანი მე-3 ხარისხისა და ამ ორი გემის ყველა მეზღვაურებს სამხედრო ნიშანი მე-4 ხარისხისა.

ვენა. ხორვატ სლოვენთა დეპუტატების კავშირმა და სლოვენთა დეპუტატებმა პროგრესისტებმა რუსეთის ელჩს უსურვეს რუსეთის გამარჯვება.

ლონდონი („რეიტ. სააგ.“). საზღვაო მინისტრმა კრეისერ „ვარიაგ“-ის აფიცრების დედებისა და ცოლებისაგან და აგრეთვე ლიბავის მანდილოსნებისაგან მიიღო დეპეშა, რომლითაც სთხოვენ, ინგლისის კრეისერ „ტალბოტ“-ის უფროსსა და მეზღვაურებს გადაეცით ჩვენი უსაზღვრო მადლობა იმისთვის, რომ „ტალბოტ“-ის მეზღვაურები ჩემულპოსთან მომხდარ ბრძოლის დროს „ვარიაგ“-ის დაჭრილ მეზღვაურთ ჰუმანიურად მოეპყრნენო. ლორდმა სელბორნმა მიანდო ინგლისის ვიცე-კონსულს ლიბავაში, მადლობა გადაუხადეთ და დაუმატეთ, რომ ინგლისის ფლოტი მეგობრულ ერის მეზღვაურებს ამგვარ დახმარებასა და შველას ყოველთვის სიხარულით აღმოუჩენსო.

ვლადივოსტოკი. ნამესტნიკმა ციხის კომენდანტს შეატყობინა, ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა, გადავცე მეციხოვნეთა და ვლადივოსტოკის ყველა დამცველს ყოვლად უმოწყალესი მოლოცვა პირველ სომარ მონათვლისათვის და მისი იმპერატორებით უდიდებულესობის რწმენა, რომ ისინი მედგრად დაიცავენ ჩვენს სიმაგრეს მტრის თავხედურ თავდასხმისაგან. მეციხოვნენი და მთელი ქალაქი მხიარულობენ.

პორტ-არტური. პორტ-არტურსა და იმის მიდამოებში ცვლილება არ არის. მცხოვრებნი დამშვიდდნენ. ყველა თავის საქმეს აკეთებს და ომის პირობებს ეჩვევა.

სეული („რეიტ. სააგ.“). რუსებმა კორეის სატელეგრაფო სადგური იონ-უონი დაიჭირეს—იტყობინებიან, რუსებსა და კორეელებს შორის ტუმხის—კორეის ნაპირზე შეტაკება მოუხდათო.

ინკოუ („რეიტ ს.“). ინგლისის კონსულმა ინგლისელთა ქვეშევრდომების ოჯახებს შეატყობინა, სანამ იალუზე ყინული დადნებოდეს, ნიუ-ჩუანიდან წადითო.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოდან)

26 თებერვალი

პორტ-არტური. ღამის 11 საათზე სადარაჯო რაზმმა შეამჩნია, რომ შორს, ზღვაში მტრის გემები გამოჩნდნენ; 11 საათსა და 50 წუთზე მორიგ ბატარეიდან პირველი ზარბაზანი გავარდა. მალე მტერი უკანვე გაბრუნდა. ზღვის ღელვა და ქარ-ბუქი იწყება.

პარიზი. ტოკიოდან იტყობინებიან, ვლადივოსტოკის მახლობლად შუა ზღვაში ახალი ბრძოლა მოხდაო.—იაპონიის ფლოტს უბრძანეს, პორტ-არტურზე იერიში მიიტანე და ნავთ-სადგურის შესავალი უეჭველად შეჰკარიო.—ოფიციალურ წყაროებიდან ატყობინებენ „ტაიმს“-ს, ჩინეთის მთავრობა დარწმუნებულია, თუ ჩინეთმა ნეიტრალიტეტი დარღვია, ყველა სამხედრო ხარჯს ჩინეთს გადაახდევინებენო და ამიტომ მთავრობამ მტკიცე ნეიტრალიტეტის დაცვა გადასწყვიტა.

ლონდონი. ზოგიერთ გაზეთების ცნობებით, იაპონიის ზოგიერთ რაზმები იალუს ჩრდილოეთით იმყოფებიან.—ტიან-ძინიდან დეპეშით იტყობინებიან, ვითომ რუსებმა ფინ-ხუან-ჩენს თავი დაანებეს და დასავლეთით წავიდნენო, ბრძოლას ამ ცოტა ხანებში ელიან; უკვე რამდენიმე შეტაკება მოხდა. გენზანსა და ფუზანს შუა ტელეგრაფი გაწყვეტილია; ჰფიქრობენ, ეს რუსეთის მოწინავე რაზმების საქმეაო.—ჩიფუდან დეპეშით იტყობინებიან, ი-ჩჟუში რუსებმა დაიჭირეს იაპონიის აფიცერი ხუთის ჯარის კაცით და ირკუტსკში გაგზავნესო.

ვაშინგტონი. ჩიფუდან მოსული ოფიციალური დეპეშა ამტკიცებს, იაპონელები ფინ-ხუან-ჩენში იმყოფებიანო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება. „ნოიე ფრაიე პრესე“-ს სამხედრო თანამშრომელი იაპონიის ფლოტის სამხედრო მოქმედების თაობაზე შემდეგსა სწერს: „ადმირალი ტოგო მეტად ფრთხილად იქცევა. უფრო ნაღმიან გემებს ამოქმედებს, ჯავშნიან გემებს კი ძალზე უფრთხილდება და რუსის ბატარეებს არიდებს. ასეც უნდა მოქცეულიყო. ერთი მარჯვედ გასროლილი ყუმბარა რამდენსამე მილიონად ღირებულ გემს ადვილად დააზიანებს. იაპონიის ვერფებში კი ამ ჟამად მხოლოდ ნაღმიანი გემები და სხვა წვრილი გემები შენდება. იაპონიას ეხლა ვერც სხვა სახელმწიფოები მიჰყიდიან გემებს, რადგან ეს ნეიტრალიტეტის დარღვევა იქნება“.

იგივე თანამშრომელი სწერს: „ამ ჟამად კორეის დასავლეთის ნაპირი იაპონელებს უჭირავთ, იაპონიის ფლოტი ბეჯითად ადევნებს თვალ-ყურს ყველაფერს, რაც პორტ-არტურის ნავთ-სადგურს გარედა ხდება. რუსეთის ფლოტს ნავთ-სადგურში ერთ ადგილას დგომა ხელს არ მისცემს.—ეს ყველა მეზღვაურს კარგად ესმის. ამიტომ, ჩემის აზრით, რუსეთის ფლოტი პორტ-არტურის ნავთ-სადგურიდან უნდა გავიდეს და ნიუ-ჩუანს (ინკოუს) ახლო იმოქმედოს. ასე რომ მოიქცეს, რუსის ფლოტი სამ დიდს საქმეს გაარიგებს: აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე დაცემის ნებას არ მისცემს იაპონელებს, ლიაოდუნის ნახევარ კუნძულის ჩრდილოეთ მხარესა და გოლუბინაია ბუხტას დაიცავს და იაპონიის ჯარს ამ ადგილებში არ გაუშვებს. ვნახოთ, რას იქს და როგორ მოიქცევა რუსის ფლოტი“ („ბ. ვ.“)

პოსიეტის ყურეში ჯარის გადაყვანის თაობაზე „ბერლინერ ტაგებლატ“-ი სწერს: „წინადვე ვიცოდით, რომ იაპონელები უსათუოდ ამ ყურეში გადაიყვანდნენ თავიანთ ჯარს. ამ ადგილას რუსებს მხოლოდ ცოტაოდენი ყაზახი ედგათ. მაგრამ ის ცნობა კი, ვითომ იაპონელები პოსიეტის ყურედან გირინისაკენ გალაშქრებას აპირებდნენ, სწორე ცნობად არ მიგვაჩნია, რადგან გირინი მეტად შორსაა, პოსიეტის ყურედან 300 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს. უფრო ჭკუას ახლო იქნება, რომ იაპონელ ჯარის მოწინავე რაზმები პოსიეტის ყურედან ნიკოლსკისაკენ გაემართნენ. ნიკოლსკი მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილია; ციმბირისა და უსურიის რკინის გზები ნიკოლსკში ერთად იყრება. ეს ქალაქი უმთავრესი ბაზარია პურის ვაჭრობისათვის. იქ გერმანელ დიდ ფირმების რამდენიმე განყოფილებაც არსებობს. ნიკოლსკი რომ ხელში ჩაიგდონ, იაპონელები მაშინ ვლადივოსტოკიდან ხარბინსა, ხაბაროვსკსა და პორტ-არტურს მიმავალ გზებსაც ადვილად შეჰკრავენ და ამით რუსის ჯარს საქმეს გაუჭირვებენ. იქნება, იაპონელებმა პოსიეტის ყურეში იმისთვისაც გადაიყვანეს ჯარი, რომ ვლადივოსტოკს ხმელეთიდან ალყა შემოარტყან“ („პ. ვ.“).

რამწამს ყინული გალხვება, იაპონელები მაშინვე ჯარს გადაიყვანენ დალნის ახლო. იმავე დროს იაპონიის ჯარი ჩრდილოეთისაკენ დაიძვრის, მდინარე იალუში გავა, რკინის გზას ხელში ჩაიგდებს და პორტ-არტურს გზას შეუკრავს. მეორე ჯარიც ლაოდუნის ნახევარ კუნძულზე გადავა სადმე. რამწამს იაპონიის ჯარი მანჯურიაში გაჩნდება, ჩინელებიც მაშინვე აიშლებიან და იაპონიის ჯარს შეუერთდებიან („ბ. ვ.“).

„ტაიმს“-ი სწერს: იაპონელები უსათუოდ პორტ-არტურსა და მდინარე იალუს შუა ჯარს გადაიყვანენ და რუსის ჯარის ფრთას დაეცემიან იალუზე. სანამ ლაოდუნის ნახევარ კუნძულს არ დაიჭერენ, იაპონელები მანჯურიისაკენ არ გაილაშქრებენო („ნ. ვ.“).

იაპონელი აგენტები ხარბინ-ვლადივოსტოკის რკინის გზაზე ხიდის დანგრევას აპირებდნენ, მაგრამ ყაზახებმა დაიჭირეს. ვლადივოსტოკის გარეშე რეიდი ღამე ელექტრონითაა განათებული.

ტიანძინში იაპონელი ჯაშუში დაიჭირეს. ეს იაპონელი ვაჭარ კატოაკის სახელით ცხოვრობდა („ნ. ვ.“).

იაპონელებმა რუსის გემი „მანჯურია“ ჩაიგდეს ხელში. ეს გემი იაპონელებმა შეაკეთეს და ჯარების გადასაყვანად ხმარობენ („მ. ვ.“).

იაპონელებისაგან დაჭერილი რუსის გემი „ეკატერინოსლავი“ 1 მილიონ მანეთზე მეტი ღირდა. ამ გემზე სამხედრო მასალა არა ყოფილა რა, მხოლოდ 25 ყუთი გაფუჭებული თოფი ეწყო („ნ. ვ.“).

„ნოვოე ვრემია“ იუწყება: რუსის ესკადრას სუეცში ნება მისცეს, შეგიძლიანთ იმდენი ქვა-ნახშირი დაუდოთ, რამდენიც ბიზერტამდე გეყოფათო. რუსის გემებმა სულ 3,275 ტონა ნახშირი დაუდეს. რუსის ნაღმიანმა გემებმა სუეცის არხი გაიარეს და პორტ-საიდში მივიდნენ; კრეისერი „ავრორა“-ც მალე მოვა პორტ-საიდს.

იაპონელებმა კარდიფში დიდძალი ქვა-ნახშირი იყიდეს და ეხლა აღარ იციან, როგორ გაჰგზავნონ ეს ქვა-ნახშირი. სუეცსა და ატლანტის ოკეანეში რუსის კრეისერები დადიან და ყველა გამვლელ გემსა ჰსინჯავენ. „ბერლინერ ტაგებლატ“-ი სწერს: ინგლისის ყველა ნავთ-სადგურში რუსის აგენტები არიან და ყველა გემს ათვალიერებენ. ასე რომ რუსის კრეისერებმა ოკეანესა და მეწამულ ზღვაში წინადვე იციან, საიდან რა გემი მოდის. რასაც ამას იქით ნახშირით დატვირთულ გემს დაიჭერენ, რუსები საერთაშორისო უფლების თანახმად მოექცევიან („ბ. ვ.“).

ერთს ნახშირის მოვაჭრეს ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრმა ლანსდოუნმა ურჩია, ფრთხილად მოიქეცითო, მაგრამ ახსნით-კი აღარ აუხსნა, რა ნაირად მოიქცეს. ნახშირის ვაჭარმა გადასწყვიტა, ამას იქით ქვა-ნახშირს სამხრეთ-აფრიკისაკენ გავგზავნი, რომ სუეცში რუსის გემები არ დამხვდნენო.

ჯერ კიდევ სამხედრო მოქმედების დაწყების წინ იაპონიიდან პეტერბურგის წიგნის მაღაზიისათვის წერილები გამოუგზავნიათ და უთხოვნიათ, რუსულ ენის სახელმძღვანელოები და შორეულ-აღმოსავლეთის შესახებ დაწერილი წიგნები გამოგვიგზავნეთო. რასაკვირველია, ამ თხოვნას მაღაზიის პატრონები ამ ჟამად აღარ შეასრულებენ. წერილებიდან სჩანს, რომ იაპონელ აფიცრებში ბევრს სცოდნია რუსული ენა („ნ“.).

პორტ-არტურში მცხოვრებ ფრანგებს მოუთხოვნიათ საფრანგეთის მთავრობისათვის, ერთი გემი გამოგზავნეთ ჩვენს წასაყვანადაო („რ. ვ.“).

საერთაშორისო უფლების დარღვევაზე. ერთმა იაპონელმა მეცნიერმა გერმანულ გაზ. „ნოიე ფრაიე პრესე“-ში რუსეთ იაპონიის ომზე წერილი დაბეჭდა. იაპონელი მეცნიერი ამტკიცებს, იაპონიას ამ ომში საერთაშორისო უფლება არაფრით არ დაურღვევიაო. სხვა-და-სხვა მეცნიერების აზრით ომის ოფიციალური გამოცხადება სულაც არაა საჭირო, დიპლომატიურ მილაპარაკების შეწყვეტა და ელჩის გაწვევა ომის გამოცხადებასთან ბარი ბარსაო. რუსეთს თითონაც ბევრჯელ დაუწყვია სამხედრო მოქმედება ომის გამოუცხადებლად. 1877 წ. რუსეთმა სამხედრო მოქმედება 23 აპრილს დაიწყო და ომი კი მხოლოდ მეორე დღეს, 24 აპრილს, გამოუცხადა ოსმალეთსაო. მერე, სამხედრო მოქმედება პირველად რუსებმა დაიწყეს და არა იაპონელებმა. რუსის სამხედრო გემმა „კორეეცმა“ ჯერ კიდევ 26 იანვარს დილით პირველმა ესროლა ზარბაზანი იაპონიის გემებს ჩემულპოს ნავთ-სადგურში. იაპონიის ფლოტმა მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო სამხედრო მოქმედება: 26 იანვარს. ღამე პორტ-არტურს დაეცა და 27 იანვარს ჩემულპოში „კორეეცსა“ და „ვარიაგსა“. იაპონიას არც იმით დაურღვევია საერთაშორისო უფლება, რომ ნეიტრალურ სახელმწიფო კორეიაზე ჯარი გაატარა. რუსეთიც სწორედ ასე მოიქცა 1877 წელს: თავისი ჯარი ნეიტრალურ სახელმწიფო რუმინიის სამფლობელოზე გაატარაო.

რუსეთის მომხრე ჩეხმა დეპუტატმა კრამარჟმა იაპონელს მეცნიერს გაზ. „კონს. კორესპონდენტ“-ში პასუხი გასცა. კრამარჟი ამტკიცებს, იაპონიამ ნამდვილად დაარღვია საერთაშორისო უფლება, რუსეთს კი არც რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, 1877 წ., არც სხვა დროს საერთაშორისო უფლება არც ერთხელ არ დაურღვევიაო („პ. ვ.“).

ინგლისურმა გაზ. „სტანდარდ“-მაც დასწერა ამას წინად: 1854 წელს, ყირიმის ომის წინ, რუსის ფლოტის ადმირალ ნახიმოვის წინამძღოლობით ომის გამოუცხადებლად ოსმალეთის ფლოტს უეცრად დაეცა სინოპთან და მთლად გაანადგურაო. რუსულმა გაზ. „მოსკოვსკი ვედომოსტი“-მ ამაზე პასუხი გასცა „სტანდარდ“-ს: გაზეთი ამტკიცებდა, რუსეთს არც 1854 წელს დაურღვევია საერთაშორისო უფლებაო („მ. ვ.“).

იაპონელ დიპლომატის აზრი ეხლანდელ ომზე. „დეილი ქრონიკლ“-ის კორესპონდენტს იოკაგამაში (იაპონიაში) ერთს იაპონელ გამოჩენილ დიპლომატთან რუსეთ-იაპონიის ომზე უსაუბრნია. დიპლომატს უთქვამს: ჩვენ კარგად ვიცით, რომ რუსეთთან ბრძოლა ადვილი საქმე არაა, მაგრამ მაინც არაფერს არ შევუშინდებით. იმედი გვაქვს, ბრძოლის ველზე გაუჭირებლივ 700—800 ჯარის-კაცი გავიყვანოთ. 300 ათასმა ბურმა ინგლისს საქმე გაუჭირვა, ჩვენ 48 მილიონ ხალხს, რაღა დაგვემართება, რომ რუსეთთან ბრძოლა ვერ შევიძლოთ. იაპონიას არც ერთის ადგილის დაჭერა არა სწადიან. ჩვენ მხოლოდ ჩვენის ეროვნულ არსებობის უზრუნველყოფა და ჩინეთის დამოუკიდებლობის დაცვა გვწადიან. გვინდა, რომ ჩინეთი ჭკუაზე მოვიდეს, ევროპიული წესები შემოიღოს და გაძლიერდეს. ინგლისის დახმარება სულაც არა გვჭირია („პ. ვ.“).

იაპონიაში, როგორც ვიცით, ახლად არჩეულ პარლამენტის წევრებში—130 კონსტიტუციონალისტია, 96 პროგრესისტი, 20 იმპერიალისტი, 26 უკიდურეს მარცხენა პარტიის წევრი და 107 დეპუტატი არც ერთს პარტიას არ ეკუთვნის. პარლამენტის დიდი უმეტესობა მთავრობის მხარესაა. იმედი აქვთ, რომ სამხედრო გადასახადებს პალატა ერთხმად დაამტკიცებსო.

მთავრობამ ბძანება გამოსცა, ტყვეებს ყველა კარგად, ადამიანურად მოექცევიო. („მ. ვედ.“).

დარდანელის გამაგრება. სტამბოლიდან ამბავი მოვიდა, ოსმალეთი დარდანელის სრუტეს ამაგრებს და ზღვაში ნაღმებს აწყობსო („რ. ვ.“).

ინგლისი და რუსეთი. 22 თებერვალს, ნაშუადღევს, ინგლისის მეფემ რუსეთის ელჩი გრაფ ბენკენდორფი ხანგრძლივ აუდიენცია მიიღო. („მ. ვ.“).

ინგლისის ახალი ელჩი რუსეთში. როგორც ვიცით, ინგლისის მთავრობამ რუსეთს ელჩად გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი ჩარლზ გარდინგი დანიშნა. თავის თანამდებობის ასრულებას ელჩი აპრილის გასულს შეუდგება, როცა ეხლანდელი ელჩი ბ-ნი სკოტი ინგლისს წავა.

„ტაიმს“-ი სწერს: ახალ ელჩს მეტად მძიმე და რთული საქმე უძევს წინ. იმედი გვაქვს, ჩვენი ახალი ელჩი რიგზე შეასრულებს თავის მძიმე მოვალეობას. მართალია, რუსულ პრესასა და სამხედრო წრეებს ძლიერა სძულთ ინგლისი, მაგრამ რუსეთის მთავრობამა და მეტადრე გარეშე საქმეთა სამინისტრომ კარგად იციან, რომ ინგლისი კანონიერად იქცევა და გულწრფელადა და მტკიცედ იცავს ნეიტრალიტეტს („მ. ვ.“).

ბალფურის სიტყვა ფლოტის გაძლიერებაზე. დეპეშიდან ვიცით, რომ 17 თებერვალს ინგლისის დეპუტატთა პალატამ 277 ხმის უმეტესობით 87 წინააღმდეგ მთავრობის წინადადების თანახმად დაადგინა ფლოტი გავაძლიეროთო. ამის თაობაზე გამართულ კამათში თითონ პირველი მინისტრმა ბალფურმაც მიიღო მონაწილეობა. ბალფურმა სთქვა: პალატამ ამ წინადადების განხილვის დროს ევროპისა და აზიის საერთაშორისო მდგომარეობასაც უნდა მიაქციოს ყურადღება. ჩვენი ფლოტი ჩვეულებისამებრ ორის სხვა დიდის სახელმწიფოს ფლოტს უნდა უდრიდეს. წარმოვიდგინოთ, რომ ინგლისი ორს სახელმწიფოს ეომება. რასაკვირველია, ბრძოლის დროს ინგლისის ფლოტიც უზარმაზარ ზარალს გადაიტანს, მაშინ ნეიტრალურ სახელმწიფოების ხელ-უხლებელ, დაუზიანებელ ფლოტს მეტი მნიშვნელობა მიეცემა და იმ სახელმწიფოების ხმას მეტი ფასი დაედება. მართალია, ინგლისი ომს არავისთან არ აპირებს, მაგრამ მაინც ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ. დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისის ერი მოიწონებს ჩვენს ფლოტის გაძლიერებას („რ. ვ.“).

რუსეთის პრესის აზრი ომის შესახებ

გუშინ ჩვენ მოვიყვანეთ „მოსკოვ. ვედომ.“-ს აზრი ბათუმის შესახებ:

(52 №-ში) გაზეთი სწერს ნოვოროსსიისკზე და ამტკიცებს, არც ეს სიმაგრე ვარგაო. ნოვოროსსიისკი მეორე სიმაგრეა შავ ზღვაზე, რომელიც კავკასიის ნაპირებს იცავს და რომლიდან გახსნილი გზა მიდის იმპერიის შუა-გულში. მიუხედავად ასეთის სტრატეგიულის მნიშვნელობისაო, სწერს „მოსკოვ. ვედომ.“,

ნოვოროსსიისკი უარეს ყოფაშია, ვიდრე ბათუმი, რადგან იქ არავითარი სიმაგრე არ არის. მართალია, ნოვოროსსიისკზე მთავრობამ მრავალი მილიონები დახარჯა, მაგრამ ეს მილიონები მოხმარდა რუსის ქალაქის გაკეთებას-კი არა, არამედ რადაც „თავისუფალ“ ქალაქისა, რომელიც სრულიად უცხოელებს ეკუთვნის.

უცხოელების მიერ ნოვოროსსიისკის „დაპყრობა“ ასე მოხდა: მე-90 წლების დასაწყისში როტშილდის მეთაურობით შესდგა საზოგადოება „რუსსკი სტანდარტ“, რომელმაც იჯარით აიღო ადგილები ნოვოროსსიისკის მახლობლად (ილსკში); ამავე დროს საზოგადოებამ შეიძინა ნავთსადგურის მთელი მარჯვენა ნაპირი (64 დესეტინა); ილსკში დაიწყო ნავთის ძებნა, ნოვოროსსიისკში-კი დააარსა ნავთის ქარხანა, გაამაგრა ნავთსადგურის ნაპირები და გააშენა ნავთ-საყუდლები. ილსკის ნავთის საქმე ცუდათ წავიდა და საზოგადოებამ მუშაობა გროზნაში დაიწყო; ნოვოროსსისკში კი საზოგადოება შეუდგა საკუთარ ქალაქის მოწყობას და ამისთვის ნავთ-სადგურის სხვა ადგილების შეძენას. ნავთსადგურის მარცხენა მხარეს თვით ნოვოროსსიისკია, მარჯვენა მხარეს-კი როტშილდის მიერ გაშენებული საკუთარი ქალაქია. აქ 100-ზე მეტი სახლია როტშილდისა. ამას ზემოდ რკინის გზის სადგურია; აქვე ქვემოდ ნაპირზე-კი როტშილდის ნავთის საწყობები, რეზერვუარები და ქარხნებია; აქვეა სხვა მრეწველთა სანავთო რეზერვუარები და ქარხნები.

ამრიგად ნოვოროსსიისკიც იმავე ყოფაშია, როგორშიაც ბათუმი; ერთ წუთს სადგური და რკინის გზის ყველა შენობა შეიძლება ჰაერში ავარდეს ნავთის საწყობების მიზეზით, რის გამო შავი ზღვის ნაპირი სრულიად მოსწყდება იმპერიას... მაშასადამე, აშკარაა, რომ ნოვოროსსიისკს ვერ ჩავთვლით კავკასიისა და რუსეთის საიმედო მცველ სიმაგრედ...

ასეთის სტრატეგიულის ადგილის ასე უყურადღებოდ დატოვება ყოვლად შეუძლებელია განსაკუთრებით ეხლა, როცა ყოველგვარი ხიფათია მოსალოდნელი გარეშე მტრებისაგან... საზოგადოდ, შავი ზღვის კავკასიის ნაპირი ინგლისელებმა უკვე ჩაიგდეს ხელში. ბათუმს და ნოვოროსსიისკზე ხომ ვთქვით; ამას გარდა ინგლისელებმა ანაპასთან შეისყიდეს მიწები (ვითომდა ნავთის საძებნელად) და გამართეს ინგლისის ახალშენი; სოხუმის მახლობლად ტყვარჩელში ინგლისელებმა შეიძინეს ქვა-ნახშირიანი ადგილები და აქაც ინგლისის ახალშენი გამართეს; ადგილები შეიძინეს აგრეთვე ნატანებში, აქაც ვითომდა ნავთის საძებნელად და სხვ. დაუმატეთ ამას, რომ ინგლისის ტელეგრაფი გარს უვლის შავ ზღვას და თქვენ დაინახავთ, რომ ეს დიდ-მნიშვნელოვანი საზღვაო ბაზისი (კავკასიის ნაპირები შავიზღვისა) ფორმალურად უკვე ინგლისის ხელშაა.

გაზეთი არ ჰმალავს, რომ ინგლისელების მიერ კავკასიის „დაპყრობა“ ჯერ ეკონომიურად მოხდა, მაგრამ ამტკიცებს, რომ ეს გარემოება ძალიან გაუადვილებს ინგლისელებს კავკასიის სრულს დაპყრობას. ეს მით უფრო საშიშოა, განაგრძობს „მოსკოვ. ვედომ“-ი, რომ ოსმალეთი

დიდის სიამოვნებით შემოუშვებს შავ-ზღვაში ინგლისის ფლოტს; ოსმალეთის იმედი არ უნდა გვქონდეს, რადგან იგი ყოველთვის მზად არის ინგლისს მხარი დაუჭიროს... ყველა ეს გარემოება დამაფიქრებელია და დაუყოვნებლივ საჭიროა გავამაგროთ შავი ზღვის ნაპირები, უმთავრესად-კი ისეთი სტრატეგიული პუნქტები, როგორც ბათუმი და ნოვოროსსიისკია.

ახალი ამბავი

◆ სამრევლო-საეკლესიო სკოლის მთავრობას გადაუწყვეტია ბათუმის ოლქში დასახლებულ **გამაჰმადიანებულ ქართველთა** შორის თორმეტამდე სამრევლო სკოლა დააარსოს. ჯერ-ჯერობით დააარსებენ ორ სკოლას. სწავლება ამ სკოლებში ქართულ ენაზე იქნება.

◆ მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებული ბ-ნი მედვედევი შეეკითხა ტფილისის გუბერნატორს, შესაძლოდ სცნობთ თუ არა, რომ ტფილისში ეხლავე გაიხსნას განყოფილება **მევენახე-მეღვინეთა** მთავარ კომიტეტისა. მიწათ-მოქმედების მინისტრმა უკვე დართო ნება ამ კომიტეტს იქონიოს ტფილისში თავისი განყოფილებაო.

◆ ტფილისის გუბერნიის **თავად-აზნაურთა კომიტეტს** დაჭრილ მეომართათვის შესწირეს: ლევან, სტეფანე, პეტრე და იაკობ კონსტანტინესძე ზუბალაშვილებმა—10,000 მანეთი, დ. ზ. სარაჯიშვილმა—2,000 მ.

◆ დავით ყიფიანს შუამდგომლობა აღუძრავს ტფილისის გუბერნატორის წინაშე სოფ. ძველ გავაზში (თელავის მაზრა) **უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს** დაარსების ნებართვის შესახებ.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 25 თებერვალს განიხილა მოხსენება კომისიისა **ახალ წყლის გამოყვანის** შესახებ. კომისია, როგორც ვწერდით, შეჩერდა წალკის წყლებზე და თავის მოხსენებაში გამგეობას ურჩევდა, მოიწვიოს ინჟენერი მეცი, რომელმაც უნდა შეადგინოს პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა. გამგეობამ დაადგინა, მოიწვიოს ინჟენერი მეცი.

◆ ხვალ, 28 თებერვლისთვის, დანიშნულია საელექტრონო **ფუნიკულერის აქციონერთა** საზოგადო კრება. კრება მოხდება ნატარიუსის მღებროვის კანტორაში.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის თანაშემწე ინჟენერი როხმანინი და უფროსი ინჟენერი აკორონკო 25 თებერვალს საგანგებო მატარებლით წავიდნენ **რკინის გზის ლიანდაგის დასათვალიერებლად** ფოთს, ბათუმს, ტყიბულს, ჭიათურასა და საჩხერეს. უკან დაბრუნდებიან ხვალ, 28 თებერვალს.

◆ „პრავ. ვესტ.“-ში (№ 45) დაბეჭდილია **ნორმალური წესდება** კერძო სამკურნალოებისათვის.

◆ პეტერბურგში დაარსებულ **სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა** გამომრკვევ საბჭოსაგან კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ მიიღო 58 ტომი, რომლებშიაც მოთავსებულია საგუბერნიო კომიტეტების დადგენილებანი და მოხსენებანი.

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზიდან** იმიერ-ბაიკალის გზაზე აქ მიმოსვლის უფროსად ნამყოფმა ბ-ნმა კარპოვმა 18 აგენტი გაიწვია.

◆ ქალაქის ბირჟაზე ბევრი მეეტლე გამოდის ძველის ნომრით. პოლიცმეისტერს ბრძანება გაუცია, უსათუოდ ახალი ნომრები შეიძინონ მარტის პირველ რიცხვისათვის. მეეტლეთაგან ბევრს განუცხადებია, რომ სიღარიბისა გამო ნომრების შეძენა არ შეგვიძლიანო. ეს ამბავი გუშინ პოლიცმეისტერმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, დაურიგონ ღარიბ მეეტლეებს ნომრები პირველ მარტამდე, ხოლო პირველ აპრილამდე ედროვოთ გარდასახადის შეტანა. პოლიცმეისტერი სწერს, თუ ამ დროსათვის მეეტლეებმა გადასახადი არ შემოიტანეს, შემატყობინეთ და არც ერთს მათგანს ბირჟაზე არ გამოუშვებო.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებას ქალაქის წყლის მილის გასაყვანად მუშაობა დასჭირდა ქალაქის იმ ნაწილში, სადაც თოფის წამლის საწყობებია. ამას წინად ქალაქის გამგეობამ სთხოვა საინჟინერო დისტანციას, ნება მისცეს აღნიშნულ ადგილებში მუშაობა მოახდინოს. საინჟენერო დისტანციამ 25 თებერვალს შეატყობინა გამგეობას, რომ დისტანციას უფლება არა აქვს ნება დართოს ამ ადგილებში სამუშაოს დაწყებისა.

◆ ამას წინად ტფილისის ქალაქის გამგეობამ სთხოვა ამიერ-კავკასიის გამმიჯნველ სამმართველოს, რადგანაც ქალაქის გამგეობას დასჭირდა ცნობები ქალაქის საძოვარ ადგილების საზღვრების შესასწორებლად და გამოსარკვევად, ნება დართოს ქალაქის მიწის მზომელს მელიქ ალავერდოვს, გადასინჯოს საქმეები გამმიჯნველ სამმართველოში. სამმართველომ გუშინ შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქის მიწის მზომელს შეუძლიან საჭირო ცნობების მიღებაო.

◆ ტფილისიდან დიდძალი ნაგავი გააქვთ ქალაქის გარედ და ჰყრიან ქალაქის მიწებზე. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ეს მიწები გადასცეს კომისიას და დაავალოს, ნაგავი აღარ დააყრევინოს.

◆ 18 მარტისთვის ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა ნაძალადევსა და ლოტკის გორაზე ქალაქის თავისუფალი მიწები. ვისაც მიწების იჯარით აღება სურს, საჭიროა ვაჭრობამდე გამგეობას ხარჯის მძლეველ წოდების პირმა უნდა წარუდგინოს მოწმობა, რომ იგი ჩაწერილია ქალაქ ტფილისზე, ხოლო სხვა წოდებების პირებმა—რომ იგინი 5 წელზე მეტია ტფილისში ცხოვრობენ.

◆ სოფ. მამხართან (ჯავახეთი) უნახავთ უსულდგმულო გვამი სოფ. მალაიას მცხოვრების ხოსტია კატოიანცისა. ამ მკვლელობაში ეჭვი მიიტანეს სოფ. ყულალის მცხოვრებ ბილალ-მუსტაფ-ოღლისა და სოფ. ოკამის მცხოვრებს მარკრიხ-მამედ ოღლიზე.

◆ სოფ. მირაშხანთან (ჯავახეთი) უპოვიათ მოკლული გლეხი ამავე სოფლისა გეიდარა-იბ-ოღლი. მკვლელობას აბრალებენ იმავე სოფლელებს—მუსტაფა რასი-ოღლის ჩეჩენ, იუსუფ-ოღლის, აზიზ-რასი-ოღლის და დარო-რასო-ოღლის.

◆ სადგურ ჯაჯურსა და გუმბრს შუა მე-196 ვერსზე 26 თებერვალს $4^1/_2$ საათზე ღია პლატფორმიდან გადმოვარდა ტვირთი, რისგამოც ვაგონები გადასცა ლიანდაგს და ერთი კანდუქტორი დაშავდა.

◆ ბათუმი. 23 თებერვალს, როდესაც მეკანტორე ბელიავსკი ვაგონების ნომრებს სწერდა, უცაბედად ვაგონის ბრუს თავი აჰკრა და ძლიერ დაიშავა.

◆ ტფილისის ქალაქის ინჟენერმა კოგნოვიცკომ შეატყობინა ქალაქის გამგეობას, ვერის ხიდს ზემოდ მტკვარზე გადასასვლელი ნავი მოიჯარადრეს ისე დასძველებია, რომ ყოვლად შეუძლებელია იმისი ხმარებაო. კოგნოვიცკის ანგარიშით, ახალ ნავის შესაძენად საჭიროა 200 მან.

◆ ამამლი (ყარსის გზა). 25 თებერვალს საქონლის მატარებლის №-275 გაჩერების დროს, გადმოხტა სოფელ ქიარურის მცხოვრები თადეოზ ნაზარიანცი, ჩავარდა ვაგონ ქვეშ და მარჯვენა ფეხი მოსწყვიტა. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ სანაინი (ყარსის გზა). 25 თებერვალს, მესამე ვერსზე, სახალხო მატარებლიდან №-76 გადავარდა მგზავრი, გუმბრის მცხოვრები ოჰანეზ ტერ-აკოფოვი, და მარცხენა ფეხი მოიტეხა. დაშავებული იმავე მატარებლით ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ ქსანი. 24 თებერვალს, საღამოს 5 ს. 25 წ., მე-261 ვერსზე, საქონლის მატარებელი №-163 გაწყდა და ერთი ცისტერნის ვაგონი დაზიანდა.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ 21 თებერვალს ქუთაისის ქალაქის საკრებულოს წევრთა საზოგადო კრებაზე საკრებულოს მამასახლისებად არჩეულ იქმნენ: თავ. ჯ. თ. დადეშკელიანი, ი. ანჯაფარიძე, ს. ი. ხეჩინოვი, თავ. ი. ზ. მელიქიშვილი, ვ. პ. კოკოჩაშვილი, დ. ბ. კვირკელია, პ. გ. იანიშევი და ა. ე. ვუჩინო; მათ კანდიდატებად: მ. ა. გრიგორაში, ა. ფ. კუზმენკო, დ. ნ. ჩიკვაიძე, დ. ა. ლორთქიფანიძე, ვ. ი. პეტრიაშვილი, გ. ს. ბარათაშვილი, ა. ს. მეფისაშვილი და ა. მ. კრინიცკი; საარტისტო კომიტეტის წევრებად: ა. ე. ვუჩინო, ვ. ა. ბურჯანაძე, ბ. ნ. სმიტენი, ნ. შნოტგაუესი, ი. მონოსტვოვი, მ. ვ. ქელბაქიანი და ნ. კ. ზისერმანი. სარევიზიო კომისიის წევრებად: კ. რ. გოცირიძე. ლ. პ. კოკოჩაშვილი და გ. ს. აკოფოვი. კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა: გადადებულ იქმნეს საკრებულოს თანხიდან 200 მანეთი რუსეთის ფლოტის გასაძლიერებლად და 100 მანეთი წითელის ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ; გარდა ამისა სასტიკად აიკრძალა საკრებულოში ბანქოს თამაში.

◆ ოღასკურის ხიდის გასაკეთებლად, რომელიც დიდი ხანია დანგრეულია, ქალაქმა გადასდო 1000 მანეთი.

◆ ქალაქის საბჭომ დაადგინა, წელსაც ჩვეულებრივ გამოიჭრას საღორიის ტყეში 350 საჟენი შეშა. ქალაქის გამგეობა იწვევს იმ პირთ, რომელთაც ჰსურთ იჯარით აიღონ შეშის მოჭრა, გამოცხადდნენ ქალაქის გამგეობის დარბაზში 28 თებერვლის დღის 12 საათზე და მონაწილეობა მიიღონ ვაჭრობაში.

◆ კვირას, 29 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის ბეითალი ბ-ნი ლანგი ქალაქის გამგეობის დარბაზში წაიკითხავს საჯარო ლექციას შემდეგის სათაურით: „სხვა-და-სხვა საჭმელები როგორც ავადმყოფობათა მიზეზი, და ბეითლები“. ლექციის დროს გამადიდებელ შუშით ნაჩვენები იქმნება სხვა-და-სხვა საგნის ნიმუშები და აგრეთვე ხელოვნურად გაკეთებული სხვა-და-სხვა გვარი საგნით დაავადებულ ცხოველთა ნაწილები. წმინდა შემოსავლის ნახევარი გადადებულ იქმნება წითელის ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ.

◆ ეკლარის ქვის მადნების მმართველმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე შესახებ იმისა, რომ ქალაქმა მდგომარე წელს შეიძინოს ორი კამბეჩის ურემი ეკლარიდან ქვის გამოსაზიდათ, იქირაოს უფრო ვრცელი ადგილი ქუთაისში გასასყიდათ ჩამოტანილ ქვის დასაწყობად და დაუკლოს ქვის არსებულ ნიხრს. უკანასკნელი ეხლანდელ ნიხრთან შედარებით საშუალო რიცხვით 10 პროცენტითაა დაკლებული. მმართველის აზრით, ასეთი ცვლილების მოხდენა მადნების შემოსავალს გაადიდებს. საჭიროა, რომ ქალაქის გამგეობამ მალე გადასწყვიტოს ეს კითხვა.

◆ ქუთაისში ქურდობა და ცემა-ტყეპა ძლიერ გახშირდა. ამ დღეებში სადგურის [illegible] ნავთით მოვაჭრე სარუხანიანთან შევარდნილა რამდენიმე წიღაბ-აფარებული კაცი, წაურთმევიათ 300 მანეთი და უგზო-უკვლოდ გამქრალან. 22 თებერვალს, ღამით, რამდენიმე კაცს განუზრახავს ხანანაშვილის ფართლეულის მაღაზიის გაქურდვა; გამოუნგრევიათ კედელი და როცა უნდა შემძვრალიყვნენ მაღაზიაში, ამ დროს შემორტყმიან გარშემო დარაჯები და ოთხი მათგანი კიდეც შეუპყრიათ; დანარჩენები კი გაქცეულან. როგორც მითხრეს, ამ საქმეში ერთს ღამის ყარაულსაც მიუღია მონაწილეობა.

◆ პერვილის ცირკმა სწორედ რამ გაატყავა ქუთათურები. ალღო აუღო ჩვენი საზოგადოების სუსტ მხარეს და რას არ იგონებს მის მისაზიდავად. ამდენ ხანს მამაკაცებს აჭიდებდა და ხალხიც ბუზივით ეხვეოდა. შემდეგ, როდესაც მამაკაცების ჭიდაობა მოსწყინდა საზოგადოებას, ქალების ჭიდაობა შემოიღო; ეხლა კი არც ამას დასჯერდა და მამაკაცებსა და ქალებს აჭიდებს ერთმანეთს. ჩვენი, ისედაც ჯიბე-ცარიელი, საზოგადოებაც დღიურ ლუკმა პურის ფასს ამ მასხროსაში ხარჯავს და ცირკი ყოველ დღეს სავსეა. ნუ თუ ცირკისთვის არ არსებობს არც დიდი მარხვა და არც პატარა?! როგორც გავიგეთ, რამდენსამე ხმოსანს უთხოვნია ქალაქის მოურავისთვის, რამე ღონისძიება იხმარეთ, რომ ასეთი ოინებით ხალხის ძარცვა-გლეჯვა მოისპოსო.

რუსეთის ქრონიკა

◆ ხარკოვის გუბერნატორის კანცელარიაში მიიღეს პოლიციის დეპარტამენტისგან ცირკულიარი, რომელშიაც ნათქვამია: წარმოდგენებისა, კონცერტებისა და სხვა ამ გვარ გასართობთა გამმართველებმა, სადაც ჯერ არს, უნდა წარადგინონ სათაურები იმ პიესებისა, რომლის განმეორებას, თუ საზოგადოება მოითხოვს, აპირობენ. თუ წარმოდგენა რომელისამე სასწავლებლის სასარგებლოდ იმართება, წარმოდგენის ხელმძღვანელმა უნდა ზომები მიიღოს, რათა წეს-რიგი არ დაირღვეს და ამისთვის საკმაო თვალყურის მდევნელი უნდა იყოლიოს. თუ ეს წესები დაარღვიეს, წარმოდგენებისა და სხვა გასართობების გამმართველს აღარ მიეცემა ნება წარმოდგენის გამართვისა; ამასთან ის დაწესებულება, რომლის სასარგებლოდაც იყო გამართული წარმოდგენა, აღარ მიიღებს ნებართვას თავის სასარგებლოდ რაიმე გასართობი გამართოს. („ხარ. გუბ. ვედ.“).

◆ ბელოსტოკის საკომერციო სასწავლებლის მოსწავლენი საექსკურსიოდ ვარშავასა, ოდესასა და პეტერბურგში უნდა წაეყვანათ, მაგრამ ეს გზა შეუცვლიათ, რადგან ებრაელებს პეტერბურგში ყოფნა აკრძალული აქვთ; ამ სასწავლებელში კი უმეტესი ნაწილი ებრაელია („რუს. ვედ.“).

◆ ხარკოვის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ნოვოჩერკასკის პოლიციის ექვსის პოლიციელისა, რომელთაც პროვიზორ იასკევიჩის ცემა და დატანჯვა ჰბრალდებოდათ. პოლიციელმა პლატოვსკიმ ღამე შეამჩნია, რომ იასკევიჩი ქუჩაში ველოსიპედით მიდიოდა, მივიდა და პოლიციაში წაყვანა მოუნდომა. იასკევიჩი სთხოვდა, ველოსიპედის ნომერი წაიღეო, მაგრამ პლატოვსკის მოეშველა კიდევ ხუთი პოლიციელი ყაზახი, წააქციეს იასკევიჩი, ფეხებში ხელი წაავლეს და ქუჩაში თრევა დაუწყეს; ამასთან რითაც და სადაც მოხვდებოდათ, სცემდნენ; იასკევიჩს ხელები გაუკრეს, ამასთან გულზე მუხლებს აჭერდნენ; შემდეგ, სანამ პოლიციაში მიიყვანდნენ, კიდევ ბევრი აწვალეს, ეტლში ჩასვეს, ფეხები დააჭირეს და როცა პოლიციაში მიიყვანეს, იქაც სცემეს. იასკევიჩმა იჩივლა; ექიმების სიტყვით, იასკევიჩი ძალიან დაშავებულიაო. სასამართლომ სამი პოლიციელი გაამართლა, სამს 4 თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა. („რუს. სლ.“).

◆ „ნოვოე ვრემია“ იტყობინება: „ამას წინად ნათქვამი გვქონდა, ბაიკალის ტბის ყინულზე გაკეთებული გზა ჩაინგრა და მატარებელი ჩაიძირაო. ეხლა გავიგეთ, რომ ყინული არ ჩანგრეულა, მატარებელი მხოლოდ გზას გადასცდაო“.

◆ „ფინლ. გაზ.“-ში დაბეჭდილია: „ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ბრძანა: „სანამ ომი იქნება, ყველა ცნობა, რაც ომს, ჩვენის ჯარისა და ფლოტის მოძრაობას შეეხება, ჟურნალ-გაზეთებში უნდა დაიბეჭდოს მხოლოდ მაშინ, როცა ამ ცნობებს სამხედრო ცენზორი დაამტკიცებს; ეს ზომა მიღებულია იმისთვის, რომ მცხოვრებლებმა, ჯერ ერთი, ომის შესახებ ყველა ცნობა გაიგონ და მეორე, მცხოვრებთა შორის არ გავრცელდეს არავითარი ცრუცნობა“.

◆ კოვროვის ერობამ გუბერნატორს წარუდგინა სოფელ ხოზნიკოვის ბიბლიოთეკის წესდება, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამი იყო, რომ ბიბლიოთეკასთან უნდა დაარსდეს ბიბლიოთეკის სამეურნეო საბჭო. გუბერნატორმა მისწერა, ბიბლიოთეკას არავითარი საბჭო არ სჭირდებაო და წესდება არ დაამტკიცა. კოვროვის საერობო კრებამ დაადგინა: რადგან იმავე გუბერნატორმა მეორე მაზრაში ასეთივე წესდება დაამტკიცა და ჩვენ კი უარი გვითხრა და შინაგან საქმეთა მინისტრმაც ნებართვა მისცა, გუბერნატორის დადგენილება მინისტრის წინაშე განვასაჩივროთ და წესდების დამტკიცება ვითხოვოთო („რუს. ვედ.“).

◆ კიევის საოლქო სასამართლომ გაზეთ „კიევლიანინ“-ის რედაქტორს პროფესორს პიხნოსა და ამ გაზეთის თანამშრომელს სმალოვსკის 10 დღით სახლში დაპატიმრება გადაუწყვიტა; მიზეზი ის იყო, რომ გაზეთ „კიევლიანინ“-ში დაბეჭდილი იყო წერილი, რომლით მსჯავრს სდებდნენ სამხედრო სასამართლოს დადგენილებას, სადაც დამნაშავედ იყო ცნობილი რომიშევსკაიას მკვლელი, ჯარის კაცი კრიუკოვი („რუს“).

◆ უწმინდესმა სინოდმა ნება დართო ყველა ეკკლესიას, მარხვის მეოთხე კვირას შეაგროვონ შემოწირულებანი ზნე დაცემულ ქალთა სასარგებლოდ („კიევ. ოტ.“).

სასამართლო

I

თავ. ივ. წულუკიძის მოკვლა

შარშან, 17 სექტემბერს, ქუთაისის მაზრაში სოფლის გზაზე მოჰკლეს თავ. ივანე წულუკიძე. ეს საქმე დაბრალდა ქუთაისის მაზრის გლეხთ: ელიზბარ ჰოლოკავას, თომა ქოშიბაძეს და ლუკა გველეთიანს, რომელნიც დატუსაღებულ იქმნენ და სამართალში მისცეს. ამათი საქმის გარჩევა ქუთაისის საოლქო სასამართლომ დაიწყო 24 თებერვალს. საქმის გარემოება, როგორც საბრალმდებლო ოქმიდან სჩანს, შემდეგია:

1903 წლის დასაწყისში თავ. ივ წულუკიძეს ფული დასჭირებია და ამიტომ თავის მამულის „ნაბადნარის“ ნაჭრები მიუყიდნია გლეხებ ქოშიბაძე და გველეთიანებისათვის. შემდეგ, იმავე წლის ზაფხულში იმავ „ნაბადნარის“ გირაოთი სესხი უთხოვნა ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკიდან. ეს გლეხებს გაუგიათ და გამოუცხადებიათ ბანკისათვის: რადგან „ნაბადნარში“ ჩვენ ადგილები შევიძინეთ, გთხოვთ ეს ადგილები გამორიცხოთ დასაგირავებელ მამულიდან და იმათზე სესხი არ გასცეთო. თავ. წულუკიძე მაშინვე წასულა სოფ. დედალოურში იმ განზრახვით, რომ გლეხებს რამენაირად მორიგებოდა. გლეხებს უარი უთქვამთ და არც იმის შეშინებიათ, რომ წულუკიძე ემუქრებოდა—მთელს მოსავალს წაგართმევთო. თავ. წულუკიძე ვერას გამხდარა და მუქარით უკან გამობრუნებულა. გზაზე, ჩასაფრებულმა გლეხებმა წულუკიძეს თოფი ესროლეს და იმწამსვე მოჰკლეს. ივ. წულუკიძეს ამ დროს თან ახლდა უმცროსი ძმა—ილიკო, რომელმაც პოლიციას გამოუცხადა: ივანე, ალბათ, ელიზბარ ჰოლოკავამ და თომა ქოშიბაძემ მოჰკლესო, რადგან ქოშაბიძეები და გველეთიანები ძალიან ემდუროდნენ ჩემს ძმას—გვავიწროებსო, გვაწუხებსო და სხვა. მართლაც, გამოძიებამ დაამტკიცა, რომ მოკლული თავ. წულუკიძე მეტად ფიცხი ხასიათის კაცი იყო, ცუდათ ეპყრობოდა გლეხებს, საქონელს მუდამ უჭერდა და დიდ ჯარიმას ახდევინებდა; ნადელს ხშირად ძალათი ართმევდა, ხანდახან თავს ესხმოდა გლეხის სასიმინდეს ღამით და ძალით მიჰქონდა სიმინდი. გარდა ამისა ყოველთვის საჩივარსა და დავიდარაბაში იყო: ხონის მომრიგებელ მოსამართლეს მრავალი საჩივარი განუხილავს, თავ. წულუკიძეს მიერ აღძრული გლეხების წინააღმდეგ.

გამოძიებაზე ელიზბარ ჰოლოკავა გამოტყდა და ასე ილაპარაკა: „თავ. ივანე მე მოვკალი, რადგან მეტის მეტად მავიწროებდა; საქონელი აღარსად გაარონია, სულ მაჯარიმებდა, უმეტეს შემთხვევაში ტყუილა უბრალოდ; მოკვლამდე რამდენისამე დღის წინად ჩემს ცოლს დაემუქრა: თუ კიდევ დაგინახე ჩემს მამულში, პერანგის ამხანაგს გაგხდი, თავზე ჩამოგაცმევ და ისე გაგიშვებო; ერთი სიტყვით, სიცოცხლე გამიმწარა და მოვკალი კიდეც მარტო მე, სხვას აქ ბრალი არ უდევს“. მიუხედავად ასეთის განცხადებისა, პოლიციის ცნობები ამტკიცებენ, რომ ჰოლოკავას გარდა დამნაშავენი არიან ზემოხსენებულნი ქოშიბაძე და გველეთიანი და ამიტომ ყველანი იქმნენ მიცემული პასუხის გებაში.

(დასასრული იქნება)

II

დღეს, 27 თებერვლისთვის, ტფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლესთან განსახილველად დანიშნულია საქმე ყაზახის მაზრის სოფელ კიზის ბულასის მცხოვრების შატირ ამიხანის ძის მელიანცისა, რომელსაც ჰბრალდება ტფილისის საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოს და სომეხთა საეკკლესიო მამულების ჩამომრთმევ კომისიის წევრის ვეიდენბაუმისთვის მამულების ჩამორთმევის დროს შეურაცხების მიყენება. მელიანცი, როგორც ოქმშია, დიდის ჯოხით წამოსწევია ლაბორატორნი ქუჩაზე ვეიდენბაუმს (1903 წელს 2 დეკემბერს) და მარჯვენა მხარში დაურტყამს.

III

ხვალ, 28 თებერვლისთვის, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე სენაკის მაზრის მცხოვრების სამსონ დანელიასი, რომელსაც ტფილისის ვაჭრის ერვიეს თავს დაცემა, დახრჩობა და გაძარცვა ჰბრალდება, მამონტი გაბუნიასა, ქალარიასა და სხვათა, რომელთაც სხვა-და-სხვა დანაშაულობის ჩადენა ჰბრალდებათ.

თეატრი

ქუთაისი. 22 თებერვალს ქუთათურმა მსახიობებმა და სცენის მოყვარეებმა ვ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოადგინეს იბსენის ცნობილი დრამა „ხალხის მტერი“, ანუ „ექიმი შტოკმანი“; უკეთ რომ ვსთქვათ, დრამა წარმოადგინეს მარტო ბ-ნმა მესხიშვილმა და ვ. ბალანჩივაძემ. პირველი ეხლაც ჩვეულებრივად კარგი ექიმი შტოკმანი იყო; მეორეც კარგად ასრულებდა მორტენ-კილის როლს. დანარჩენების შესახებ-კი, საზოგადოდ, სულ რომ არაფერი ვთქვათ, უკეთესი იქნება. არც-ერთმა როლი არ იცოდა და სცენაზე პირდაპირ ჩხუბობდნენ, არა ეს შენი სათქმელია და არა შენიო. ბ-ნი მესხიშვილი თავის როლს გარდა სუფლიორის როლსაც ასრულებდა. ხშირად ისმოდა: „დესპინე, გამოდი, რას უყურებ!“ ან „ბურგომისტრ, სთქვი: „ბატონო თავმჯდომარე, გთხოვთ სიტყვა გააწყვეტინოთ!“ ან და—„ასლაკსენ, ეს შენი სათქმელია!“ და სხ. უკანასკნელი კი, თითქოს ეხლა გამოერკვა ძილიდანო, „აჰ? ჰო, დაა“-თი იწყებს: „ბატონებო! გთხოვთ ზომიერებას ნუ დაჰკარგავთო“. კრების თავმჯდომარე მაშინ აწკარუნებდა ზარს, როდესაც არავინ ხმაურობდა; საზოგადოება-კი მაშინ ხმაურობდა, როდესაც სახმაურო არაფერი ჰქონდა. ძლიერ სუსტობდნენ სცენის მოყვარენი, ისეთებიც-კი, რომელთაც სახალხო წარმოდგენებში არა ერთხელ უთამაშნიათ. მაგრამ მათ ბევრს ვერას მოვთხოვთ; სამწუხარო უფრო ისაა, რომ მათზე ნაკლებად არც ისინი სუსტობდნენ, რომელთაც თავი ნამდვილ მსახიობებად მიაჩნიათ. წარმოდგენას საზოგადოება საკმაოდ დაესწრო. ბ-ნი მესხიშვილი მრავალის ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

დონ-ვალიანი

დაბა-სოფლები

ვარდისუბანი (კახეთი). 7 თებერვალს აქ შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. 18 წლის გ. წიგნაძემ თოფით მოჰკლა ამავე სოფლის მცხოვრები ივანე კბილაშვილი. საქმე ასე ყოფილა: რამდენისამე დღის წინად მკვლელს გამოუცხადებია ადგილობრივ მამასახლისისთვის, რომ ვანო კბილაშვილი გზაზე მიხვდება და ბოროტ-განზრახვის ჩადენა ჰსურსო, და აი გიცხადებთ, შეატყობინეთ, თუ დამანებებს თავს, კარგი, თუ არა და მოვკლავო. მამასახლისს ყურადღება არ მიუქცევია, ვ. კბილაშვილს თავისი არ დაუშლია და წინა დღეს დაჰხვედრია. მკვლელს, როგორც ყოფილიყო, გამოჰსხლტომოდა ხელიდან და დაჰმუქრებოდა, მოგკლავო. მეორე დღეს, როდესაც გამოუვლია ვანო კბილაშვილს, წიგნაძეს თოფი გამოუტანია და ხედ გზაზედვე უსროლია. ტყვია მოჰხვედრია გვერდებში. მკვლელს მაშინვე გამოუცხადებია მამასახლისისთვის. დაჭრილი მეორე დღესვე გარდაიცვალა. 6 თებერვალს კიდევ ს. რუისპირში მოხდა შემდეგი ამბავი; ამ სოფლის მცხოვრები ნ. ბურკაძე, 22 წლისა, ყოფილა იქაურ მეზვრეებთან, რომელთაც ხელები შეუკრავთ. ერთ მათგანს დაგრეხილი წნელი წაება კისერზე, ორს ხელები დაეჭირნა და ისე დაეხრჩოთ. დამხრჩობნი ორი ს. იყალთოს მცხოვრები ყოფილა და ერთი მეზვრე იმერელი. დახრჩობის შემდეგ შემოუხსნიათ ვერცხლის ქამარ-ხანჯალი და ფული, რაცა ჰქონია, ამოუცლიათ. ქამარ-ხანჯალი მიწაში დაემალნათ და ფული კი გაეფლანგათ, ხოლო დამხრჩვალის გვამი ნახევარ ვერსის მანძილზე გაეთრივნათ წნელით და ჯაგებში გადაეგდოთ. დამნაშავენი გამოტყდნენ და დააპატიმრეს.

ცივის კალთელი

სოფ. ხორში (სამეგრელო). ჩვენს ერთად ერთს ნუგეშს შეადგენდა საეკკლესიო-სამრევლო სკოლა, რომელიც აგერ ათი წელიწადია, რაც არსებობს ჩვენს სოფელში. ვაჟნი და ქალნი რუსულ ენასთან ერთად ამ სკოლაში სწავლობდნენ ქართულ წერა-კითხვასაც. ამ ათის წლის განმავლობაში ცხადად დაგვანახვა, თუ როგორის ნაყოფის მოტანა შეუძლიან ამ ნაირ სკოლას: ამ სკოლის მოსწავლეებისაგან ისმის დღეს ჩვენს ეკკლესიაში ქართული გალობა, კითხულობენ თამამად ეკკლესიაში ორისავე სქესის მოსწავლენი ჟამნსა და ქადაგებას, რომლის მხილველნი მშობელნი სიხარულს ეძლევიან და სხვა. გარდა ამ სკოლისა სოფელში დიდი ხანია არსებობს სამინისტრო სკოლა, მაგრამ იქიდან განდევნილია ქართული ენა. აქედან გამოსულ ბავშვებს სრულიად ავიწყდებათ მექანიკურად გაზეპირებული რუსული წერა-კითხვა და რჩებიან ცხოვრებაში თავ-ცარიელნი. როდეს აქ გაიხსნა სამრევლო სკოლა, ბავშვები ისე დაეხვივნენ, როგორც ჭიანჭველები თაფლსა, და დღესაც კლასებში ტევა არ არის. აი, ამისთვის წარსულ წელს სოფელმა კიდეც განიძრახა ამ სკოლის გადიდება, ორ-კლასიანად გადაკეთება. შეუდგნენ კიდეც ახალ შენობის კეთებას. მცხოვრებნი დიდის ენერგიით ეკიდებოდნენ ამ საქმეს და, მიუხედავად იმათის სიღარიბისა, შენობა მიყვანილ იქმნა სახურავამდე. საუბედუროდ, აი სწორედ ამ დროს საზოგადოებაში გავრცელდა ხმა, რომ ამ სკოლიდანაც იდევნება ქართული ენაო. მაშინვე შესწყვიტეს შემწეობის გამოღება და გაიფანტნენ. ეხლა აგერ სამი თვეა, რაც ეს, ბაბილონის გოდოლივით, დაუსრულებელი შენობა დარჩა დაუხურავი და თავ-ღია გადაჰყურებს მაღლობიდან მთელს სოფელს. მოსწავლენი კი, 80 ვაჟი და ქალი, ჯერ-ჯერობით ნაქირავებ სახლში იმყოფებიან.

ხორშელი.

სოფ. ხოტევი (რაჭა). თებერვლის პირველ რიცხვებში გ—ძე კაციტაძეს დაეწვა ერთი წლის ვაჟი. დედა ამ ბავშვისა მეზობლისას გასულა საქონლის საკვების გამოსატანად და ბავშვი სხვა პატარა ბავშვებისათვის დაუტოვებია. ბავშვებს დაუწყიათ გართობა და ანთებული ლამპა მიუციათ ხელში უკანასკნელისათვის, რომელსაც გადაუსხამს ნავთი და წაჰკიდებია ცეცხლი მთელს ტანზე. შეშინებულ ბავშვებს გამოუყვანიათ გარეთ ცეცხლს მოკიდებული ბავში და თოვლის ყრა დაუწყიათ თურმე ტანზედ და თან ყვიროდნენ, გვიშველეთო. ყვირილზე მისულან მეზობლები და დედა, ცეცხლი გაუქრიათ, მაგრამ ბავში ორის დღის შემდეგ გარდაიცვალა. მთელის ზამთრობით ქალისა და კაცის საქმეს აქაური ქალები ასრულებენ, რადგან კაცები სახლში არა რჩებიან ზამთრობით და სხვაგან მიდიან სამუშაოდ. ამიტომ არც გასაკვირველია, რომ ასეთი უბედურება მოუვიდეს აქაურ ბავშვებს, რადგან ბევრს ყურადღებას და მოვლას არიან მოკლებულნი დედის ყოველგვარ საქმიანობითა და მოუცლელობით. ცრუმორწმუნოება ჩვენში ძალიან არის გავრცელებული. როგორც ავად გახდება ვინმე, მაშინვე მკითხავებს მიაშურებს. ერთი მკითხავი დედაკაცი ხოფ. ხოტევშიაც არის, რომელმაც დიდი სახელი გაითქვა მკითხაობით. ვერა ჰნახავთ ისეთ დღეს, რომ იმასთან მიმავალი ქალსა და კაცს არ შეჰხვდეთ. ეს არის უბედურება, რომ მკითხავ-ჯანაოზებზე ბევრს ხარჯავს ჩვენი ხალხი და გამოსადეგ და სასარგებლო საქმისთვის-კი არც ერთ კაპეიკს არ გაიღებს. სოფ. თლუღში ერთ გლეხისას, გვარად ქემოკლიძისას, შარშან შვიდი სული მოკვდა, ყველა ერთნაირის ავადმყოფობით. ბევრი დახარჯეს მკითხავებზე, სოფლის წამლებსა და ეკკლესიის შესაწირავზე, მაგრამ ის კი ვერ გაჰბედეს, რომ ექიმი მოეწვიათ და გაეგოთ, რა ავადმყოფობა იყო. თუმცა მოსავალი წლითი-წლობით კლებულობს, ტირილ-ალაპს მაინც იხდის რაჭველი. რაც უნდა შეუძლებელი იყოს აქაური კაცი, ისესხებს, გაჰყიდის თუ რამე აბადია, და უტიროლოთ მაინც არ დასტოვებს თავის მიცვალებულს, და თუ დასტოვა ვინმემ, დიდ სირცხვილად ჩაეთვლება.

ხოტეველი ქალი

წერილი რედაქციის მიმართ

ბავშვებისთვის მზრუნველ ქუთათურ საზოგადოების გამგეობა უგულითადეს მადლობას უცხადებს ქვემო-ჩამოთვლილ პირთ, რომელთაც ფულის თუ ნივთების შემოწირვით, ან სხვაგვარის დახმარებით შემწეობა აღმოუჩინეს მას წარსულის წლის 29 დეკემბერს ღარიბ ბავშვებისთვის უვასო შობის ხის გამართვაში: ბ-ნთ გ. ოჰანეზოვს და ი. გომართელს, რომელთაც შემოსწირეს ფულად ხუთ-ხუთი მანეთი; ბ-ნთ გ. ფ. ზდანოვიჩს, რელიგიონს, ლოხვიცკის, ძმ. ოცხელთ და გრენგოლმს, რომელთაც სამ-სამი მანეთი შემოსწირეს; ბ-ნთ ბოლქვაძეს, აკიმოვს და იანიშევს—ორ-ორი მანეთს; ბ-ნთ რუდნევს, გრინევსკის, გრიგორიევს, X 2-ს, ქუკოვს, მახარაძეს, ღზილნას, სოკოლოვს, Ж-ს, კაბლოვს, გოგილაძეს, კარაულოვს, ქორდანიას, გელაზაროვს, კოკოჩაშვილს, კალატოზოვს და ფილიპოვს—თითო მანეთი; ბ-ნთ A-ს, Л-ს, X-ს, პოდსტოლოვსკის, გრინევს, ლებედევს, შველიძეს, ლიონიძეს, ნოვიცკის, ბაქრაძეს, რუბაჩევს, ზალევსკის კორნევს, ჩარკვიანს, საბუროვს, მიაკიშევს, №№-ს, სავინოვს და ქ-ნ ნოვოხატნაიას—ათ-ათი შაური; ბ-ნ რომანუსს—ორი აბაზი, ბელოდედოვს—ექვსი შაური, №-ს და №№-ს—თითო აბაზი. ი. გოკიელოვის შვილებს, რომელთაც შემოსწირეს 25 გირვანქა კამფეტი და 50 ცალი ფორთოხალი, ძმ. ოჰანეზოვთ—10 გირვანქა შაქარი, 5 გირვანქა კამფეტი და ¼ გირვანქა ჩაი, გრ. ი. კემულარიას—30 არშინი ბუმაზეი. შენტმანს და ამხან.—28 არშინი ბუმაზეი; ფირალოვს—მთელი თოფი ბუმაზეი; ქამაროვს—20 არშინი ბუმაზეი; ჯანელიძეს—10 გირვანქა კამფეტი და ორი კოლოფი სანთელი; შნეიდერს, ფ. გაბუნიას, მეგრელიშვილს, ი. ოცხელს, ასათიანს, წიქორიძეს, ახვლედიანს, ბ. გაბუნიას, დ. ბოკერიას, თ. ქეიშვილს, შენგელიას, იაკობაშვილს, ჯვარიშეიშვილს, თოფლიშვილს, ჩილაშვილს. ხაზაროვს, კაჭკაჭოვს, ს. ქეიშვილს, მესხს, ჯაშიკოვს, სილიანოვს, დოლიძეს, კაჭარავას, ხმალაძეს, თავდიდიშვილს, რიჟინაშვილს, ხანანაშვილს, ფიფინაშვილს, ბუკურავას, გ. რიჟინაშვილს, ჩიკვაშვილს, მახარაძეს, მოწონელიძეს, ბარაბაძეს, რ. რიჟინაშვილს, ფიჩხაძეს, ძმ. ქავჭიანიძეთ, ელიგულაშვილს, პ. თავდიდიშვილს, ჩიკვაშვილს, პაპიაშვილს, ე. თავდიდიშვილს, კაკიტელაშვილს, ციციაშვილს. ბ. ფიჩხაძეს, ვ. ქორქოლაძეს, ვ. ბეჟანეიშვილს, დარახველიძეს, ქუთათელაძეს, პფეილს და ქოველენს—სხვა-და-სხვა ნივთების შემოწირვისთვის; ქ-ნ [illegible] და გაიოზ მაშჩევისას, ბ-ნ მანუ[illegible] და სხ., რომელთაც დიდი შემწეობა აღმოუჩინეს გამგეობას, როგორც სხვა-და-სხვა ნივთების შემოწირვით, ისე ფულის შეკრებითა და პირადის დახმარებით.

საზოგადოების მდივანი **დ. ავალიანი**

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 თებერვალი

სტამბოლი. ბაღდადში ხოლერა გაჩნდა; ხუთი კაცი გახდა ავად.—ილდიზ-კიოსკი, როგორც სჩანს, წინააღმდეგობას უწევს ელჩების დადგენილებას ჟანდარმერიის გადაკეთების შესახებ. რუსეთისა და ავსტრიის ელჩები მტკიცედ მოითხოვენ მიღებას მათ მიერ შემუშავებულ დადგენილებებისას, რომელნიც მიურცშტეგის პროგრამის საფუძველია.

სოფია (ოფიციოზის წრეებიდან). სტამბოლიდან იტყობინებიან, რუსეთისა და ავსტრიის ელჩებმა, რომელთაც რეფორმების პროგრამა შეიმუშავეს, პორტას რეფორმების შემოღების საჭიროება ახალის მემორანდუმით მოაგონესო. საორგანიზაციო კომისიის გადაწყვეტილება ოსმალეთისთვის სასარგებლოა; საქმის გადადება პორტასთვის საზარალოა. პორტა დაუყოვნებლივ უნდა დასთანხმდეს ამ გადაწყვეტილებას, თორემ პასუხისმგებელი თვითონ იქნებაო. დიპლომატიური წრეები ჰფიქრობენ, შეიძლება მაკედონიაში უკმაყოფილოთა პატარა რაზმებიც გაჩნდნენ, მაგრამ მცხოვრებნი წყნარად იქნებიან და რეფორმების განხორციელებას მოუცდიანო.

კოპენჰაგენი. დანიის მეფის დაბადებიდან 86 წლის შესრულების გამო ინგლისის მეფის და დედოფლის მოსვლას ელიან.

სპრინგფილდი. (ოგაიოს შტატი) თეთრ კანიანებმა ლინჩის სამართლით დასაჯეს ზანგი, რომელსაც თეთრ კანიან ქალის მოკვლა ჰბრალდებოდა. 2,000-მდე თეთრკანიანი კაცი რევოლვერებითა და მაშხალებით შეცვივდნენ ზანგების უბანში და ცეცხლი მოუკიდეს. იქ გაგზავნეს მილიციის 8 როტა; 20 სახლი დაიწვა; ჯარმა უწესოება შეაჩერა.

სტამბოლი. მიტროვიციდან მოსულ ცნობებით, შემსი-ფაშა უფროსობიდან გადააყენეს ამით შეასრულეს უკმაყოფილო ალბანელების მოთხოვნილება. სხვა მოთხოვნილებათა შესახებ მოლაპარაკება არსებობს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

LA SURPRISE
(საჩუქარი)
რეინის ოქრო
№ 4711
ახლანდელი მოდის
დუხები
შეუდარებელის, მშვენიერის
და მაგარის სუნნელებისა
ფერდ. მიულგენსისა
კელნი რეინზე
ისყიდება ყველა კარგ მაღაზიაში.
(ნ. 9—7)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, ქალთა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

Дозв. ценз. Тифлисъ 26 февраля 1904 г.
ელექტრონის სტამბა, ქართ. ამხ.—ის წიგნების გამომც.
(Электропеч. Груз. Издат. Т—ва.